# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 123

წელიწადი მეორე

1913

ოთხშაბათი, 14 აგვისტო.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913 **იმერეთი**

**გაზეთის ფასი:**

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

## ახალი წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელისა**

ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

# უდიდესი

## წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შეამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და წიგნსაცავებს, რომელთაც დაუთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოება ყოველნაირი სასწავლო ნივთი მლიერ იაფათ.

## ქ. ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყო-ფი

## საბუღალტერო კურსები

**გ. გ. გიკინეიშვილისა.**

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო- და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი,)

## განცხადება.

ქალთა ორ კლასიან სასწავლებელში პროფესიონალური განყოფილებით 1 სექტემბრიდან

**იხსნება მესამე კლასი:**

მოწაფეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან. სასწავლებელი იმყოფება უწინდელ ბინაზე: თფილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

სასწავლებლის გამგე: ნ. ლ. მიქელაძის ასული დადიანისა.

## ჭრა-კერვის

**სპეციალური სახელოსნო**

ვღებულობ ქალთა ყოველგვარ ტანსაცმელს შესაკერათ, ხელმისაწდომ ფასათ. შეკვეთილს ვასრულებთ თავის დროზე და პირნათლად.

მისამართი: თფილისის ქ. ქალაქის აფთიაქის პირდაპირ, ჯაშიკოვის სახლი.

პატივისცემით საშა ჭყონიასი.

## თ. ა. მთავრიშვილის

## წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი,** ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.

იყიდება მხოლოდ ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, თფილისში

# კანონი

გლეხთა სოფლელთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შეყიდვით საკუთრებათ, მთავრობის დახმარებით, თფილისის, ქუთაისის, ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.

# ВРЕМЕННАЯ

инструкція должностнымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе Закона 20 декабря 1912 г.

ქუთაისის ქართული

## გიმნაზია

აცხადებს, რომ მდგომარე წლის სექტემბრისათვის თავისუფალი ვაკანსია მოიპოება მხოლოდ

## მოსამზადებელი კლასის

**1-სა და 2 განყოფილებაში.**

თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკული, წოდებისა და ყვავილის აცრის მოწმობები) უნდა წარმოადგინონ 20 აგვისტომდის. ხელახალი გამოცდა დაიწყება 26 აგვისტოდან.

აქციონერული საზოგადოება.

ს.-პეტერბურგის **ქიმიური ლაბორატორიისა**

იზმაილოვის პროსპ. № 27.

პარიზი 1900 ოქროს მედლებით ნიცნ-ნოვგ.

## Beaute duteint

**გლიცერინის რძე—ისრის რძე.**

საუცხოვოთ რბილებს, აჩვილებს და ახავერდებს კანს.

იყიდება ყველა კავკასიის სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

## ქირავდება

ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი პ. ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

## იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

შინაგან სნეულებათა **აქიმი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

**აქიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

## აქიმი ი. ჩარექოვი

ილებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

## დაიკარგა

ფინია მაღლი—„**მასხარა**"—ჭრელი, წითელი წინწკლებით. მპოვნელს ვსთხოვ გვიჩიას მაღაზიაში მიიყვანოს. ჯილდოს მიიღებს...


**ქუთაისი, 14 აგვისტო.**

ჩვენ არ ვიცით მაგალითი, რომ ვისმე ისე ბოროტათა და ურცხვათ ხალხის სახელით ესარგებლოს, როგორც ამას დღეს ჩვენში დასელები ჩადიან.

— დღეს ხალხს ღმერთები აღარა ყავს... ხალხმა გამოიღვიძა, ხალხი თვით სჭედავს თავის ბედნიერებას... დღეს მას ვეღარავინ მოატყუებს.—ასე ამბობენ სიტყვით, საქმით კი ისე ურცხვათ არავინ ვაჭრობს ხალხის სახელით, ისე ბოროტათ არავინ იყენებს მის ნდობას, ისე მოურიდებლათ არავინ ასაღებს ხალხის სახელით თავის ვიწრო პარტიულ ფანატიზმით გამსჭვალულ აზრს, როგორც ეს ერთად-ერთი შეგნებული მუშათა მოწინავე რაზმი".

ყოველგვარ უმზგავსო, უცნაურ შეხედულებას, ყოველგვარს მახინჯ აზრს, ყოველს ბოროტ საქმეს ეს ვაჟბატონები, ხალხის შეხედულებათ, ხალხის აზრათ, ხალხის საქმეთ ნათლავენ, მათის ბაგეთი მუდამ ხალხი ღაღადებს.

საკმარისია მათი სიყალბე, ან უცოდინარობა ამხილოთ, მათ შეცთომებზე მიუთითოთ, რომ ვაიუშველებელის ყვირილი ასტეხონ:—დახეთ ბურჟუა ნაციონალისტები ხალხს შეურაცხყოფენ; გესმოდეს ხალხო და სხვა...

ამგვარის შემთხვევისათვის მათ „ხალხი"-ს როლის აღმასრულებელი დამქაშებიც ყავთ, რომელნიც არ დააყოვნებენ „ხალხის" ქურქი წამოისხან და მუქარით შემოგვძახონ:—ჩვენ შეგნებული ხალხი გიცხადებთ და სხვა...

გირჩევთ ხმა გაკმიდოთ, თვარა მოვა დრო და...

ასეთს საშვალებას მიმართავენ ყოველთვის, როცა საქმე ცუდათ აქვთ, როცა თავისვე დაგებულ ხაფანგში თვითვე ჩაკრავენ ფეხს. არ დაგიდევენ იმას, თუ რა ფასი აქვს მათ ბრაზმორეულ ღრიალს, ვის შეაშინებს მათი უსუსური მუქარა.

საბრალოებმა არ იციან, რომ ამით თავის სიბნელესა და უგუნურობას ამტკიცებენ, ისინი კი, ვინც ეს ლაშქარი აამხედრა თავის გონებრივსა და ზნეობრივს სიკოტრეს. რადგან თუ ამ უკანასკნელ უიმედო საშვალებას მიმართეს, ჩანს მათი არსენალი დაცლილა, სხვა უკეთესი საბრძოლველი იარაღი აღარ ქონიათ. ამ ნაცად საშვალებას მიმართეს მათ თავის დაცემული პრესტიჟის აღსადგენათ დღესაც.

ჩანს წიწამურის საშინელ, უმაგალითო ბოროტმოქმედებას ღრმა კვალი დაუჩნევია მათთვის და არც საკვირველია—ეს ცოდვა მეტათ მძიმეა, რომ მოსვენება მისცეს ცოდვილთ.

ალბათ ამ ცოდვამ აურია გონება და აუშალა ენა, რომ აღარ იციან, რას სჩადიან.

ილიას ძეგლის კურთხევის ჟამს, როდესაც მთელი საქართველო კრძალვით, სასოებითა და სინანულით თაყვანს სცემდა დიდ მამულიშვილის ხსოვნას, უცოდვილესმა მათგანმა, ქართველმა, პეროსტატემ, გველური სისინი იწყო, მისმა ბოროტმა ენამ კვლავ განიმეორა უსაზიზღრესი ცილისწამება მგოსნის შესახებ.

დიდხანს არ გაუვლია, რომ მიცემული ნიშანის თანხმად, ამოძრავდა ბნელეთის ლაშქარი, ლენერლიდან დაწყებული ჯარისკაცამდი ისტერიულათ გაკივიან და მათ საშინელ ჟივილს არ უჩანს დასასრული.

ნეტავ, რა მოხდა? რამ გაამწარა სწორედ ილიას ძეგლის კურთხევის დროს ეს „ხალხის მოამაგეთა“ რაზმი?

ამის მიზეზი ის დიადი ეროვნული თვითშეგნებაა, რომელიც ილიას მოწამებრივმა სიკვდილმა გამოიწვია.

ეროვნული გათვითცნობიერება ხომ დასელების სიკვდილის მომასწავებელია და, აი უკანასკნელ ძალას ხმარობენ, რომ ეს შეგნება დაახშონ, დააბნელონ. აი, რა მიზანი აქვს დღევანდელ მათ კამპანიას.

ერთის მხრით ადასტურებენ „მოგზაურის“ საზიზღარ ცილისწამებას, რომლის სხვერპლიც გახდა ილია. მათი ბელადები თავის გაზეთის ფურცლებზე იმის ცდაში არიან, რომ ყოველი ჭორი მაშინ ,,მოგზაურის'' მიერ ილიას შესახებ შეთხზული ნამდვილ ფაქტათ აღიარონ, ამავე დროს საპროტესტო წერილებში ილია „დიდებულის“ ეპიტეტით იხსენიება.

ორში ერთია: ან ილია იყო დიდებული მამულიშვილი და მგოსანი, ან ჯაშუში, ავაზაკი, გლეხების დამაწიოკებელი. თუ დიდებული იყო, როგორც პროტესტებში იხსენიებთ, რაღათ ცდილობთ დაამტკიცოთ ,,მოგზაურის'' საზიზღარი ცილისწამება და, თუ უკანასკნელში ხართ დარწმუნებული, რაღათ უწოდებთ მას დიდებულს?

მაგრამ ეს რომ ფარისევლობაა, ყველასთვის ცხადია. ამას სხვა მრავალ ფაქტთა შორის ამ დღეებში ჩვენ გაზეთში მოთავსებული მასწავლებელი დეკანოსიძის წერილიც ამტკიცებს.

ერთი მეპროტესთაგანი ნატრობდა თურმე. ,,ნეტავ იმ პირთა შორის ყოფილვიყავ, რომელთაც ილია დახვრიტეს, მე პირველი ვესროდი ტყვიას, როგორც საზიზღარ ადამიანსო!—აი, რა პირები იხსენიებენ დღეს ილიას სახელს დიდებულათ, აი, ვინ გვიცხადებს დღეს ზიზღს და, მადლობა ღმერთს, რომ ზიზღს გვიცხადებს და არა თანაგრძნობას. მაგისთანების თანაგრძნობა ხომ სამუდამო წარუხოცველ ჩირქს მოგვცხებდა.

ასეთები ბედავენ დღეს ხმის ამაღლებას: იმუქრებიან, შფოთვენ უდიდესი კოლექტიური დანაშაულის ჩამდენნი შფოთავენ და იშფოთებენ, რადგან არაგვისპირას მოწამებრივათ დაღვრილი სისხლი ურღვევს სულის სიმშვიდეს, ცოდვა აშფოთებს და აბოროტებს მათ.

სანამ ამ საშინელ ცოდვისაგან არ განიწმინდებიან, მანამ ვერ დაცხრება მათი ავათმყოფი სული.

და მიუხედავათ ,,საპროტესტო მასიური გამოსვლებისა'' მათსა და ქართველ ხალხს შორის ხიდია ჩატეხილი.

ამაოა მათი ცდა, თავისი ცოდვა მშრომელ ხალხს გაუზიარონ, და მით ხვედრი შეიმსუბუქონ.

ამ ხალხმა დიდი ხანია მუხლი მოიდრიკა დიდი მოამაგის წინაშე.

## რუსული პრესა.

ბაქოში მუშათა გაფიცვამ მთელი რუსული პრესა აალაპარაკა. „რუსკოე სლოვოს“ უკანასკნელ ნუმერში, სხვათაშორის, ბ-ნი მუროვიც ეხება ამ საკითხს და მუშების ბინების შესახებ შემდეგს სწერს:

„თუმცა ძალიან ცუდია ფირმათა ბინები, მაგრამ კერძო სახლები მათთან შედარებით პირდაპირ საშინელებაა. ეს ოთახები კი არა—ქოხებია მოხრილი, ჩამონგრეული, ნესტიანი კედლებით. 198 სახლიდან მხოლოდ ათში ვერ ამოაჩინეს ნესტი... რაც შეეხება კერძო საოჯახო ბინებს, იგი პირდაპირ კუბოა ნავთის წარმოების გერებისა და მასში იხჩობა 194 კაცი, —80 ბავში და 114 მოზდილი... ბაქოს ანკეტა ეს საშინელებით სავსე „კაცობრიობის დოკუმენტია“. ნავთის მწარმოებელნი ოქროებით ჯიბეებს ივსებენ, ათი ათასი მუშა კი მხეცურათ ცხოვრობს. იგინი უბრალო ადამიანის არსებობის ელემენტარულ პირობებსაც კი მოკლებული არიან.

დე, ამ ანკეტამ მიიპყროს საზოგადოებრივი აზრი და აიძულოს სათათფირომა და მთავრობამ გაიხსენოს დავიწყებული პროექტი ნავთის მუშათა ბინების განახლების შესახებ და სხ.

ტყუილათ მოუწოდებს ბ-ნი მუროვი მთავრობასა და სათათფიროს... ამგვარი „დავიწყებული პროექტების'' გახსენება მათ კომპენტენციაში არ შედის. მუშათა საკითხს ტრეშჩენკოვები იცავენ სავსებით, სხვა პატრონი მათ არა ყავთ. არც თავრიდის სასახლეში მჯდომთ სცალიათ ამისთვის, მათ უფრო სერიოზული საკითხები აქვთ გადასაწყვეტი, როგორც... სღვდელოების ჯამაგირების გადიდებაა.

,,ბოგანო მუშა'' ვის რაში აინტერესებს? ვაი, რუსეთის მშრომელი არმიის ბედს მათ ხელში!..

## ახალი ამბავი.

ამასწინათ ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ქ-ნი კაკალა ნაკაშიძის ასულის წერილი. ავტორი სწერდა, რომ ბანკზე დარჩენილი ნაკაშიძეებისსეული ადგილები ვაჭრებმა შეისყიდეს და არა გლეხებმაო. ამ ჟამათ რედაქციას მოუვიდა 46 გლეხის მიერ ხელმოწერილი ბარათი რომელნიც თხოულობენ, რომ ნაკაშიძეებისსეული ადგილიჩვენი მამაპაპის ხელში იყოვო, და უკეთუ ეს ადგილი ძველ მეპატრონეებს აღარ ექნებათ, იმ შემთხვევაში, სიმართლე მოითხოვს, — მამული ჩვენ შეგვაყიდონ და არა ვაჭრებსო.

იმედია, ჩვენი ბანკის გამგეობა ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და გლეხთა განცხადებას ანგარიშს გაუწევს.

✦ დასავლეთ საქართველოს დაბა-სოფლებიდან იწერებიან, რომ წელს შიმშილობა აუცილებელია, ნათესი იმდენათ გადახმა და გაფუჭდა, რომ აწი წვიმა რომ კიდეც მოვიდეს ვერას უშველისო.

✦ დეპუტატთ საკრებულოში ფიცხელი გამოძიება სწარმოებსა ვიცე გუბერნატორის მაკაროვის ძელმძღვანელობით. რევიზია ნაშვადამევამდი ხდება თითქმის ყოველ დღე.

✦ შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ ინჟინერ ა. მიხაილოვის დაავალა შემოევლო მდინარე ყვირილის მოყოლებით მდებარე 13 სოფელი, რომელთა მცხოვრებიც მდ. ყვირილის გაბინძურებისაგან მიყენებულ ზარალს სჩიოდენ. მიხაილოვმა უკვე შემოიარა ხსენებული სოფლები და მის მოხსენებას საბჭო შემდეგ, მორიგ სხდომაზე გაარჩევს.

✦ ორშაფათს 12 აგვისტოს ბალახვანის ქუჩაზე მთვრალმა მოწაფეებმა ჩხუბი ასტეხეს. ჩხუბის დროს რევოლვერებიც იხმარეს. მოჩხუბარი მოწაფეები პოლიციამ დააპატიმრა.

✦ წელს, ბაქოში დასის რეჟისორათ კ. გვარამძე მოწვეული:

✦ 16 აგვისტოს ელექტრო-თეატრ „მომპლეზირში“ მსახიობი ქალის დ. ივანიძის ასულის სასარგებლოთ სეანსები გაიმართება.

✦ 7 აგვისტოს, დ. ლეჩხუმში ურმით მიმავალ ებრაელიძეს მატარებელი დაეჯახა. ურემი დაიმტვრა, ებრაელიძე დაშავდა. იგი რკინის გზის საავათმყოფოში გაიგზავნა.

✦ ჩვენმა რედაქციამ დასავლეთ საქართველოს დაბა-სოფლებში თავისი თანამშრომელი იმერი გააგზავნა მოსავლის შესახებ ცნობების შესახებათ.

✦ 10 სა-და 11 აგვისტოს ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგმა გელერტოვმა, რომელიც ამ ჟამად თავჯდომარის მოვალეობასაც ასრულებს, სენაკისა, წალენჯიხისა და ზუგდიდის მომრიგებელ სასამართლოებში რევიზია მოახდინა. მელერტი ამ მოკლე ხანში სხვა ჩვენს დაბებშაც გაემგზავრება სარევიზიოთ.

## დღიური.

სერბიაში ომში დახოცილთა შვილებისათვის თავშესაფერს აგებენ.

— დედე-აგაში მალე ბულგარლების ხელში გადავა. იქიდან ბერძნები და მაჰმადიანები გავიდენ.

— სახელმწიფოები შეთანხმდენ, რომ ოსმალეთს კრედიტი დაუხურონ.

— გადაწყდა—რუსეთში ნავთი საზღვარგარეთიდან შემოიტანონ.

— გზათა მინისტრს ნება მიეცა—საზღვარგარეთ 50 მილიონი ფუთი ნახშირი შეიძინოს.

— ბელგრადში ბ... ... ... ... ... დებიან.

— გარდაიცვალა ე. ოლივი, 1870 წელს საფრანგეთის პრეზიდენტათ ნამყოფი.

ქუთაისის მცხოვრებმა ნ. გოცირიძემ მეფის მოადგილისგან უარი მიიღო თავის თხოვნაზე. გოცირიძე თხოულობდა, რომ ნება დაერთო მისთვის თიანეთის მაზრაში სპილენძის დამუშავებისა და ქარხნების დმარსების ნება მისცემოდა.

✦ თელავის მაზრაში შუამთის მონასტერს ყაჩაღები დასხმიან და ღვდელ-მონოზონი გრიგოლი მოუკლავთ.

✦ იალტის ქალაქის თვითმართველობაში ბუღალტრათ ყოფილა ვინმე გავრილოვი, რომელსაც გაუფლანგავს 30000 მანეთი. მხოლოდ ახლა გამოირკვა, რომ იგი გავრილოვი ყოფილა, აქამდი კი იგი თურმე ნაცვლიშვილის გვარით მსახურებდა, მისი პასპორტი ქონდა.

✦ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობაში აღუნიშნავთ, რომ ზოგიერთი აგენტი ქალაქის თვითმართველობისა სადღრიის ადგილების შესყიდვის დროს მოიჯარადრეთაგან ბოროტ-მოქმედების აზრით მყიდველთან შეთანხმებით ქალაქის საბჭოს მიერ დაწესებულ ფასზე ნაკლებათ ყიდდენ ადგილებს.

ამ გარემოებას სასტიკი ყურადღება მიაქცია ქალაქის გამგეობამ და შესაფერი ზომებიც მიიღო ზემოდასახელებული უწესოების მოსასპობათ.

✦ წელს უსეზონობამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა დრამატიული საზოგადოების გამგეობა. საქმე ისაა, რომ გამგეობას გადაწყვეტილი ქონდა წელს სეზონი ქონოდა; ამ მიზნით მან უკვე ორი თვის წინათ მოიწვია დასის რეჟისორათ ა. წუწუნავა. ახლა ზოგიერთ მსახიობთა მიერ პირობის დარღვევისა და ქუთაისში სამსახურზე უარის თქმის გამო გამგეობა იძულებული შეიქნა სეზონისთვის თავი დაენებებია. ამნაირათ საჭირო აღარაა რეჟისორიც, მაგრამ გამგეობა ბ-ნ წუწუნავასთან უკვე გარიგებულია და იგიც ხვედრ ჯამაგირს თვეში 100 მანეთს თხოულობს. როგორ დააწევს თავს გამგეობა ამგვარ მდგომარეობას, არ ვიცით.

✦ ხმებია—ქორიძეც ითხოვს ზაფხულის სამი თვის ჯამაგირს, მან განაცხადა თურმე, რომ გამგეობა ვალდებულია 3 თვის ჯამაგირი მომცეს, რადგან ქუთაისში სამსახურზე მე უარი ჯერ არ გამიცხადებიაო.

## დროით უნდა!

„ურემი რო გადაბრუნდება-გზა მერე გამოჩნდებაო“,

ახირებული კია:—მაინცადამაინც უნდა გადაბრუნდეს ურემი გზის გამოსაჩენათ.

და რამდენჯერ გადაბრუნებულა, ნაფოტათაც ქცეულა ურემი, გზა კი ისევ ძველი, ოღრო-ჩოღროიანია, გაუვალი, ძნელი და ბნელი.

აი, წელს დიდი განსაცდელი მოელის ჩვენი ქვეყნის ბევრ კუთხეს ამ საშინელი გვალვის გამო. მეორე თვე გადის, ზეციდან ცვარი არ ჩამოვარდნილა, ჭირნახული ახმა. ბევრგან ჩალათ ასპრეს, შიმშილობა მოსალოდნელია. ასეთი მოვლენა პირველი ხელი არაა, პირველათ არ ეჩეხება ურემი, მარა გზა გამოჩნდა, ვეცადეთ რასმე, იმ ადგილებში მაინც, სადაც ასეთ გვალვებთან შებრძოლება შეიძლებოდა, „გზა გამოგვეჩინა“.

ვაკე-იმერეთისა და ოდიშის კუთხეს ეს უმთავრესი ბუდე სიმიდის მოსავლისა, ყოველ გვალვის წელიწადს პირში ჩალა გამოვლებული რჩება და აქაური ... ლოპა მთელი ჩვენი ქვეყნისა კონომიურ მდგომარეობას აქვეითებს, განსაცდელში აგდებს,

მეტი ნაწილი ზომოხსენებული ორი კუთხისა და ნაწილიც ზემო-იმერეთისა ვაკე, დაბალი, მერე ადგილებია, რომელთა მორწყვაც ადვილი საქმეა. ყველა ამ ადგილს ახლავს მდინარენი:-რიონი,

## ბუნების წიაღზე.

**გაკვრით ფიქრები და შთაბეჭდილებანი.**

ქვეყანას სწავლობთ, ეცნობით მოგზაურობით, ხოლო ერს, მის ცხოვრებას მის ზნე-ჩვეულებას თქვენ ვერას დროს გადავლით, სხვათა შორის, წუთიერის დაკვირვებით ვერ გაეცნობით. ერი ღრმა, რთული საზოგადოებრივი მოვლენაა, მისი ცხოვრება—ეს მთელი ლაბირინტია, რომლის შესავალ-გამოსავალსაც ვერ გაიგონებს უბრალო უცხო ტურისტი, დღეს აქ მყოფი, ხვალე იქ. ცხოვრებას ერისას, როგორც რთულ მოვლენას, ხანგრძლივი დაკვირება, დღემუდამ თვით ერშივე ტრიალი, მასთან ჭირი და ლხენა სჭირია. აბა, რა ფასი აქვს იმ დაკვირვებათა და ცნობებს ერის ცხოვრებაზე, რომელთაც ვინმე უცხო მოგზაური მატარებლის ფანჯრიდან ზერელეთ მიღებულ შთაბეჭდილებაზე აგებს. ამიტომაც, მართალი მოგახსენოთ, მეტათ სკეპტიკურათ, ალმაცერათ ვუცქერი საზოგადოთ იმ შრომას, რომელსაც უცხო მოგზაურნი გვაწვდიან ხოლმე ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე. უკეთეს შემთხვევაში ასეთ ნაწარმოებში მართალი და ნამდვილი იმდენია, რამდენათაც ვინმე გონება-გამჭრიახ, განვითარებულ მოგზაურს იმის ალღო შესწევს, რომ შემთხვევით უცდმივისგან გაარჩიოს, რომ წუთიერად ნახული და გაგონილი არ გაასაზოგადოს.

ინგლისელებსა და ფრანგებს მოგზაურობაში ვინ აჯობებს! კულტურული მომზადება და გამოცდილებაც ხომ დიდი აქვთ! მაგრამ, აბა, მათ შორის ერთს თუ მიჩვენებთ, რომელსაც ჩვენი ერის ცხოვრება აეწეროს, და ამ აწერილობაში, როგორც შედეგში ხანმოკლე მოგზაურობისა, შეგნებულს ქართველს ათასი რამ არ ეჩოთირებოდეს და არ ათცებდეს!

დიახ, მოგზაურობით,—ქვეითად თუ სხვა საშვალებით,—ეს ის ცხოვრება არ ისწავლების! მოგზაურობის ფასი—ერის სიამოვნებაა, რომელსაც პირადათ განიცდის ყოველი გონებით, გემოვნებით, თვალით განვითარებული ადამიანი, ოდეს იგი ბუნების მრავალნაირ სიმშვენიერესა და სილამაზეს სჭვრეტს, ოდეს იგი პირისპირ, უშუამავლოთ ხედავს მას, რასაც არცერთი სხვის მიერ გადმოცემული სიტყვა ვერ ეტყვის, რასაც იგი სხვა საშვალებით ვერც გაიგებს, ვერც შეიგნებს, ვერც იხილავს იმ სინამდვილით, რა სინამდვილესაც ადამიანს აძლევს მხოლოდ უშუამავლო განსჭვრეტა ბუნებისა.

არა, მოგზაურობის ფასი არც მარტო ამ სიამოვნებით განისაზღვრება. მას, როგორც ვსთქვით, სხვა ობიექტური სადირალიც აქვს, უტყვ ბუნებას, არა ორგანიულ ცხოვრებას მსოფლიოსას, რომელიმე ქვეყანას ფიზიკურათ, გეოგრაფიულათ, ტოპოგრაფიულათ ისე არაფერი გვასწავლის, როგორც მოგზაურობა. თუ გნებავთ, მოგზაურობა ერთადერთი საშვალებაა ქვეყნის ზედმიწევნით გაცნობისა, მისი არა სულიერი მხარისა. მოგზაურობით იწერება გეოგრაფია, მოგზაურობით ჩნდება ახალი ქვეყნები, მოგზაურობით სწვდება ადამიანი იმ უმწვერვალეს წერტილებს სამყაროსას, სადაც არავითარ სიცოცხლეს ადგილი არ აქვს.

იმას, რასაც რუკაზე მხოლოდ თითით ეხებით, თქვენ თქვენის თვალით ახლო უცქერით, ათვალიერებთ მთელ სივრცე-სიგანით, მთელი მისი სინამდვილით მთებსა, ტყესა, მინდორ-მდინარეთა, რომელთაც ქაღალდი მხოლოდ არათუ იმ ფერადით, ამა თუ იმ მოხაზულობით მიჩვენებთ, რეალობა, მოგზაურობის წყალობით, სულ სხვაფერ წარმოგიდგათ, სულ სხვაფერ ეხატვის თქვენს თვალსა და გონებას...

რაც უნდა მცირე და არა ხანგრძლივი იყოს მოგზაურობა, ამ აზრით მის მნიშვნელობას ვერავინ უარსყოფს.

ალბათ, მოგზაურობა ზოგჯერ მეტათ დიდი მნიშვნელობისაც არის, რომ კულტურული ადამიანი ხშირად საკუთარ სიცოცხლესაც სწირავს, ოღონდაც ის ნახოს და გამოიკვლიოს, რაც ჯერეთ უნახავია ან ძნელათ სანახავია, ან დ მხოლოდ პირისპირ დასტკბეს საიდუმლოებით მოცული ბუნების იმ სანახაობით, რომელიც ბევრს რასმე მიმზიდველს მრავალნაირ სიტურფესა და სიმშვენიერეს შეიცავს.

ჩვენთვის, ქართველებისთვის ასეთი მაღალი კულტურა ჯერ მეტათ შორს არის, თუმცა მეტად ახლოს ვართ ბუნებასთან და მის მრავალფერ მოვლენასთან. ჩვენში მე არ ვიცი მაგალითი, რომ ვისმე სამეცნიერო თუ მარტო ესთეტიური მიზნებით თავი ბუნებისათვის შეეწიროს, ძნელათ ასატან, სახიფათო მოგზაურობის გამო.

აქ, უეჭველია, გარდა განვითარების დაბალი დონისა, ჩვენს ეროვნულ სიზანტესა და უმოძრაობასაც თავისი წილი უძევს. თვარა საკვლევი და სანახავი, დღეგძელობა გქონდეთ, ჩვენში ბევრი იყოს, მაგრამ, აკი მოგახსენეთ, ყველაზე ნაკლებ თვით ქართველი იცნობს თავის პატარა, კეკლუც ქვეყანას, მისი უხვი და მრავალფეროვანი ბუნებით, მისი უთვალავი სიმდიდრით, მისი წარმტაცი სილამაზით.

შორსა და ძნელ მოგზაურობას თქვენი ჭირი წაუღია; სავალალო და დიდათ სამარცხვინო უფრო ის არის, რომ ჩვენი ქვეყნისადმი უბრალო ცოდნას, და თუ გნებავთ, უბრალო ცნობისმოყვარეობასაც კი არ ვიჩენთ. მე ბევრს ვიცნობ ისეთ ქართველს, უმაღლესი განათლებით აღჭურვილს, რომელსაც ორი-სამი საათის სავალზე მდებარე ხელოვნების დიდებული მონუმენტიც არ უნახავს, ისეთი მონუმენტიც, რომელსაც არა ერთი უცხო მოგზაური დიდ განცვიფრებასა და აღტაცებაში მოუყვანია. ასეთი ამბავი მაწინავე კულტურულ ქვეყნებში ყოვლად შეუძლებელია, დაუჯერებელია.

ერთიც კია, თუ ჩვენ ჩვენსავე ქვეყანას არ ვიცნობთ, ამის მიზეზი ჩვენ გარეშეც ბევრია. აქ შკოლის დეფექტებს ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ეროვნული შკოლის უქონლობას, უგზოობასა და მოგზაურობისათვის სხვა ხელისშემწყობი პირობების უქონლობას თავისი დიდი ადგილი უკავია.

***

ჩვეულებრივ სიზანტეს თავი დავაწიე და ქუთაისიდან ნაქერალით რაჭისაკენ გავემგზავრე მთელის ჯალაბით. რკინის გზით სიარულს ტყიბულამდი თითქმის ოთხი საათი სჭირდება და სულ კი რაღაცა 35 ვერსია. ასე დადიოდა მატარებელი ამ ლიანდაგზე ამ გზის გახსნის პირველ ხანებში, ასე დადის ახლაც. არც ტეხნიკის გაუმჯობესებას, არც იმ გარემოებას, რომ დღეს რუსეთში დრო, რაც უნდა იყოს, უფრო მეტათ ფასობს, ვიდრე ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ, ტყიბულის რკინის გზის ავკარგიანობაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია. რა მშვენიერათ ახასიათებს ეს რკინის გზა რუსეთის წესწყობილებასა და მის ევოლიუციას!

რაღაც ოცდათუთხმეტი ვერსი ოთხ საათში! ასეთ მატარებელს კარგი მარჯვე ცხენოსანი ხომ კიდეც გაუსწრებდა! ამერიკელი, ევროპიელი ასეთ გარემოებას ერთ დღესაც ვერ შეურიგდებოდა. წარმოსადგენია განა რომ იმათ, რომელთათვისაც დრო იგივე ფულია, ასე ამაოთ დახარჯონ რამდენიმე საათი!

— ნუთუ, მართლაც და, შეუძლებელია მეტი სიჩქარე?—ვეკითხებოდი რკინის გზაზე მოსამსახურეთ.

— დიდი აღმართები, მთიანი ადგილებია და ორთქმავალი უფრო სწრაფათ ვერ ივლის.—მიპასუხებდენ.

ამ განცხადებას არ შემიძლია ეჭვის თვალით არ შევხედო:—დასავლეთ ევროპაში მრავალი მთიანი ადგილებია გარდამავლია რკინის გზით, მაგრამ არსად არ დამჭირვებია ამდენი დრო ასეთი მცირე მანძილისათვის. შვეიცარია, შვეცია-ნორვეგია და სხ. სამთო რკინის გზებითაა დასერილი. მაგრამ ყველგან უფრო მეტ ანგარიშს უწევენ დროს, ვიდრე ჩვენში საერთოდ და ტყიბულის შტოზე განსაკუთრებით.

ეს კია, რომ ასე ზლაზვნით სიარული ხელს გიწყობთ უკეთ დაათვალიეროთ ბუნება, დააკვირდეთ ყოველ სერს, მთას, უფრო ღრმად აღბეჭდოთ თქვენს გონებაში ყოველი ნახული სურათი, დასტკბეთ ცხოველმყოფელი მთის ჰაერით, რომელიც, თითქო ხელსაცხებელი, ისე მოქმედებს ქალაქის ცხოვრებით დაღლილ-დამსხვრეულ ნერვებზე.

***

ბუნება თავის სილამაზითა და სიუხვით თავიდანვე გელათის სადგურიდან დაწყებული, გიმონებთ თქვენ ერთიანად. მარტო ის რათა ღირს, სადაც დიდებული გაენათი თავმომწონეთ ამართულა, მთელი დასავლეთი საქართველოს წმიდათა-წმიდა, ეს ერთი საკვირველი ნაშთი განი ჩვენი კულტურული აყვავების ეპოქისა! დააცქერდით მონასტერს მაღლობიდან ან ამოხედეთ ქვემოდან-მთის ძირიდან—და თქვენ ერთჯერ მეტათ დარწ-

ცხენის წყალი, ყვირილა და სხვა. საჭიროა ამ საქმეში თაოსნობა, რომ ქვეყანა უზრუნველყოფილი დარჩეს და გვალვებს ადვილათ შეებრძოლოს. ხონის რაიონი ცოტათ ებრძვის ამ სენს ცხენის წყალიდან სარწყავი არხების გამოყვანით, და თუ სავსებით ვერ უძლვება ამ საქმეს —ეს ისევ იმის ბრალია, რომ სულ სასურველად ვერ არის მოწყობილი იგი.

როგორც გადმოგვცეს, ქუთაისის ქვეით მდებარე რამდენიმე სოფელსაც—ორ ქვიტირს, მესხეთს, ბანოჯას, ორმაღლაკსა და სხვ. განუზრახავთ რიონიდან არხის გაყვანა და სარწყავი საქმის მოწყობა. ადგილიც აურჩენიათ, სადაც არხი გაიჭრება, პლანიც აღებულია და პროექტიც მზათ არისო კარგა ხანია, მაგრამ საქმეს თაოსანი ვერ გასჩენია, რომ განხორციელება, სისრულეში მოყვანა ეღირსოს.

ნუთუ საჭიროა წლევანდელის მზგავსი კიდევ ერთი ორი წელიწადი, რომ მეტი ენერგიის პატრონი ვინმე გამოჩნდეს და საქმეს თავი მოაბას!..

ნუთუ საჭირაო—კიდევ რამდენჯერმე გადატრიალდეს ურემი?!

# თამარ მეფე და მგოსანი რუსთველი.

**ქართული ფანტაზია.**

ამ სათაურით დაიბეჭდა გაზეთ „Abc“-ის კვირის ნუმერში, პატარა, სულ ორ ნახევარი სვეტი გაზეთისა, ქართული ფანტაზია. სანამ მის მოკლე შინაარსს მოვიყვანდეთ, გვსურს ავნიშნოთ ის, რაც რედაქციამ წაუძღოლა ამ ფანტაზიას:—„ქართველმა მწერალმა, ჩვენი უნივერსიტეტის პრივატდოცენტმა, ბ. ლეო კერესელიძემ ჩვენს გაზეთს „Abc“-ს დაუწერა ეს საუცხოვო ფანტაზია თამარ მეფესა და რუსთველზე საქართველოში მათი 700 წლის სადღესასწაულო სამზადისის გამო“

ფანტაზიაში აწერილია თამარ მეფე, რომელიც თავის სასახლის—„ვარდის ციხის“ აივანზე ზის. ჩამომავალი მზე ნელნელა ქრება კავკასიონის წვერებზე. ღამის ჩრდილები საქართველოს მიდამოებზე მძიმეთ წვება, მაგრამ უკანასკნელი სხივი ჩამავალი მზისა ჯერ კიდევ ქრთის „ვარდის ციხის“ კოშკებზე. „ციური მზე“ გამოსათხოვარ სალამს „მიწიერ მზე“—თამარს უგზავნის. აქვე აწერილია შოთა, რომელიც მუხლ მოდრეკილი თამარის ფეხთ წინა სდგას. „საშინელი ტანჯვა იყო აღბეჭდილი მის მშვენიერ სახეზე“-ო,—ამბობს ფანტაზია. რუსთველი თავის უზომო სიყვარულს უმჟღავნებს თამარსა და პირდება, რომ თუ კი მეფე მას შეიყვარებს, იგი ისეთს რამ დიდებულს შექმნის, რაც არც ერთს მგოსანს არ შეუქმნია. „ვით მეზღვაურთ“, ზღვის ძირიდან მარგალიტნი ამოაქვთ, აგრეთვე მე, ჩემი გულის სიღრმიდან სრულად ჩემს გრძნობებს ამოვიღებ და ფეხთ ქვეშ დაგიფენ; ამ გრძნობებს, ჩემს პოეზიას მე გადავქმნი მუსიკალურ ოკეანეთ... მიუწვდები ფიქრებს მთებისას და იდუმალ ტყეთა, მათს მწუხარებას, მათს სევდასა და ლხენას მელოდიურ სიმღერებათ ჩამოვასხამ და ყველა ამას მხოლოდ შენთვის, შენთვის, მეფევ, ჩემი ოცნებისა“. ბოლოს რუსთველი ეუბნება, მისი სიყვარული იმდენათ მძლავრია, რომ თვით სიკვდილისა ეშინიან, ეშინიან სიკვდილისა, რადგან ამ უკანასკნელს შეუძლია სამუდამოთ გაყაროს. დიდი ხნის დუმილს შემდეგ თამარი უპასუხებს, და „მისი ხმა იყო ნაზი, ვითა სუნთქვა იასამნისა, საამური, როგორც განთიადი, მომხიბლავი, ვით ღამე მაისისა“.

„ჩემო მგოსანო,—ეუბნებოდა „მიწიერი მზე“, მეც მიყვარხარ, მიყვარხარ მას შემდეგ, რაც პირველათ ვნახე შენი მისტერიული თვალები, მისტერიული, როგორც ღამის სიბნელე; როდესაც გავიცანი შენი სული ღრმა და სავსე სიმდიდრით, ვით ოკეანე; როდესაც ვიგრძენი სიდიადე შენი გენიისა... თამარი დასძენს, რომ მას უფრო ძლიერ უყვარს იგი და მასაც ეშინიან—სიკვდილმა არ გაყაროს,.. შევერთდეთ,—ეუბნება თამარი,—შევერთდეთ მხოლოდ ისეთი სიყვარულით, რომელიც მარად იცოცხლებს, არას დროს არ მოკვდება. აქ თამარ მეფე მოკიდებს ხელს რუსთველს და აივნიდან უჩვენებს საქართველოს, რომელიც მოსჩანს როგორც ხელის გულზე:—„რუსთველო, აი უმაღლესი კავშირი ჩვენი შეერთებისა, შევერთდეთ მის სიყვარულში და მაშინ სიკვდილიც ხშირი არ იქნება,, ჩვენი სიყვარული სამუდამოთ იცოცხლებს, არ მოკვდება იგი, რადგან ქართველი ხალხი შეგვიყვარებს ჩვენ და მის გრძნობაში ჩვენ სამუდამოთ ვიქნებით შეერთებულნი“... თამარ დადუმდა. მის თვალებზე მარგალიტის ცრემლები ციმციმობს. ეს იყო ცრემლები სამშობლოს სიყვარულისა.

მგოსანი მიხვდა დიად სიტყვებს თამარისას. მას აღარ უნდოდა იდუმალობის დარღვევა, დაბლა თავი დახარა და ღამის წყვდიადში მიიმალა...

განვლო რამდენიმე წელმა. საქართველოს ხალხური მგოსნის რუსთველის ამბავი მოეფინა. ბრძოლის ველზე, თუ ყანებში, თავადების სასახლეში, თუ გლეხების ღარიბ ქოხებში—ყველგან გაისმა მისი სიმღერები, ყველგამ იმეორებდენ მის ლექსებს—„ეჭვი პოულობდა პასუხს, ტანჯვა შემსუბუქებას. მისი ღვთაებრივი სიტყვები, ვით მარგალიტი გაიფანტა მთელ საქართველოში, და მგოსანი შეიყვარა ერმა“. მას შემდეგ მრავალმა საუკუნემ განვლო, თამარ და რუსთველი დამარხულია, მაგრამ მათი სიყვარული ცოცხლობს და არ დაიმარხება, ვიდრე იცოცხლებს საქართველო, რადგან ისინი შეერთებული არიან საქართველოს ხალხის სიყვარულში...

ასეთია ამბავი—დასძენს ავტორი—„მიწიერი მზისა“ და რუსთველის სიყვარულისო.

ეს არის მოკლეთ შინაარსი ფანტაზიისა, რომელმაც აქ სენსაციაც მოახდინა. რამდენიმე პირისაგან მათ რიცხვში პროფესორებისგანაც ბ. კერესელიძემ მიიღო წერილი. შვეიცარიის ერთი პოეტი ქალი ეირისი სწერს: „თქვენი ხალხური ფანტაზია წავიკითხე, მსურს თქვენი გაცნობა. თუ ნებას მომცემთ ვისარგებლებ თქვენი რომელიმე ნაწერის სიუჟეტით: ეტყობა თქვენს ბუნებით ლამაზ ქვეყანას თანა სდევს ბუნებრივი ხალხური ლამაზი პოეზია და სხვ.

დასასრულ გვინდა ავნიშნოთ, რომ ეს ფანტაზია ბ. კერესელიძემ ქ-ნ ტერეზია უშკოვისას უძღვნა. ჩვენ გვაინტერესებდა რა მოსაზრებით ჩაიდინა მან ეს. ვიცოდით მხოლოდ, რომ ქ-ნი უშკოვისა მოსკოველი მილიონერის ცოლია, ვიცოდით ისიც, რომ საზღვარგარეთელი კორესპონდენტი ერთერთ რუსულ გაზეთში, სხვათაშორის სწერდა: „Вотъ въ театрѣ мы видимъ москокскаго миліонера Ушкова со своей красавицей женой...

ყველა ეს კარგი, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდოდა შეგვეტყო ამ ქალის გარეგანმა სიმშვენიერემ გამოიწვია ეს მიძღვნა, თუ კიდევ სხვა რამე იყო მიზეზი? ამოჩნდა, რომ ქ-ნ უშკოვისას საქართველო ძალიან უყვარებია, თამარ მეფესა და რუსთველს აღმერთებსო, მათი სურათები თავის სამუშაო ოთახში უკიდია, „ვეფხის ტყაოსანს“ ინგლისურ ენაზე კითხულობს და სურს ქართული ენის შესწავლა, რომ ორიგინალის წაკითხვით დასტკბესო.

**თეთრი.**

---

მოენდებით, რომ ჩვენი წინაპრები მონასტრებს საზოგადოთ საუკეთესო, მაღლობ, მყუდრო ადგილებზე აგებდენ, თითქო იმიტომ, რომ ღვთისმოსავ ადამიანს, ამა ქვეყნიურ ბოროტებათაგან ლტოლვილს, უკეთ შესძლებოდა უფლისადმი ლოცვა-ვედრება აღევლინა, რომ წმიდა ტაძრის შინაგან შემკულობის გარეთ უხვი ბუნების სიტურფეც ზედ დართოდა.

მთელი ოკრიბა სააგარაკო ადგილებია. კურსები, ხრესილი, საწირე და ტყიბული, ჩემის აზრით, არც ერთს ჩვენ განთქმულ კურორტს არ ჩამოუვარდება თავისი ლამაზი მდებარეობითა და ბუნების სიმდიდრით. და თუ, მიუხედავათ იმისა, ამ ადგილებს ქუთათურები მაინც ნაკლებ ეტანებიან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოკლებული არიან ყოველივე იმას, რაიც თანამედროვე კეთილმოწყობილი კურორტის კუთვნილებას შეადგენს.

ქალაქის მკვიდრთა მოთხოვნილება დღითიდღე იზდება და რთულდება. და ამ მოთხოვნილებათ კერძო ინიციატივი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს, ვინაიდან საგარაკო ადგილების მოწყობა-გამართვას დიდი ნივთიერი საშვალება სჭირია, რაიც ჩვენში არავის მოეპოება

უეჭველია, საზოგადოებრივი ინიციატივით ბევრი გაკეთდებოდა მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ძალიან სუსტობს ი პრიმიტიული დებულების შეგნება, რომ ერთობა ქმნის ძალასაცა და თანხებსაც და გარდა ამისა არც თუ სახელმწიფო უფლება უწყობს ხელს საზოგადოებრივი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას. ამიტომაც არის, რომ რუსეთში და ნამეტურ განაპირა ქვეყნებში ხშირათ სულ უბრალო რამ დაწყებულება, კოლექტიურათ წარმოებული, ათასნაირ დაბრკოლებას ეჯახება და ბოლოს ან სულ ისპობა ან და სულს ღაფავს საბრალოთ.

კურსებში ერთმა რამემ გამაკვირვა—იქაურ „კურზალში“, მოაგარაკეთა გასართობათ, სიმებიანი ორკესტრი უკრავდა. მართალია, დამკვრელთა გუნდი ერთობ მცირე იყო და მუსიკაც ერთობ ახირებული, მაგრამ საქმე ის არის, რომ სამკურნალო წყლების პატრონი ამ გასართობზე ხუთას მანეთს ხარჯავს იმ დროს, როდესაც მას აუცილებელი რამ ვერ შეუძენია იმისთვის, რო მომსვლელებმა აგრეწოდებულ ნუმრებში ღამე გაათიონ მოსვენებით, როდესაც თვით აბანო ყოვლად უმზგავსო მდგომარეობაშია. ეს ერთი უბრალო ფაკტი რა მშვენიერათ ახასიათებს იმერელი „ანტრეპრენიორის“ ფსიქოლოგიას—ოღონდაც გარეთ იყოს პრიალა, ბრჭყვიალა, თვარა სხვას არას დასდევს. მაგრამ ამ კურორტზე მოსიარულე საზოგადოებაც ხომ ასეთ ფსიქოლოგიის მიმდევარი არის და ამიტომაც, ვინ იცის, პრაკტიკული მოსაზრებით ეგებ წყლების პატრონი უფრო მართალიც იყოს, რომ ორკესტრის ყოლას ამჯობინებს მკბენარ მწერებით სავსე ტახტების გამოცვლას.

კიდევ ერთმა რამემ მიიქცია ჩემი ყურადღება კურსებში—ეს გახლავთ ერთი ფილანტროპიული დაწესებულება—რაღაც თავშესაფარის მზგავსი, სადაც ღარიბ-ღატაკნი ორი შაურის საფასურით ღამეს ათევენ. მართალია, ეს თავშესაფარი უფრო საჯინიბოს გავს, ვიდრე ადამიანის დასადგომ ბინას, მაგრამ არც ამას მოველოდი კურსებში, თუმცა მე ცოდვილი ვფიქრობ, რომ ასეთი მზრუნველობა უმწეოზე უფრო აუცილებლობით, ანგარიშიანობითაა გამოწვეული, ვიდრე კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობითა.

რაღაც უცნაურ, გაუგებარ აზრებს იწვევს თქვენში, როდესაც ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებს ათვალიერებთ. ერთი უძლიერესი სტიქიონთაგანი—ცეცხლი მოსდებია მაღაროებს და იწვის ისე, როგორც იწვის მაგალ. ტყე, სახლი. და იწვის ასე, თურმე ნუ იტყვით, არა ერთი დღე, ერთი თვე, ერთი წელი,—არა, მთელი ცხრამეტი წელიწადი და დღესაც დასასრული არ უჩანს. ცეცხლი მთას იმდენათ ძლიერათ მოსდებია, რომ აქა-იქ ნაპრალებიდან, სადაც კი მას გზა უპოვია, ალი მოსჩანს და იმდენათ დიდი, რომ გგონია, აი მალე, სულ მალე მთელ მთას შთანთქავსო. და ასე, ასეთის ძლიერებით იწვის თვეობით, წლობით და მაინც მთას თითქო ვერას აკლებსო.

იქვე რამდენიმე საჟენის სიახლოვეს ასობით მუშები ფუსფუსობენ, მუშაობენ გამალებით და იმდენათ შესჩვევიან ამ საშინელ სტიქიონს, რომ თითქო ვერც კი ამჩნევენ მას. მხოლოდ ერთი მათგანი სდგას უძრავათ ერთ ადგილასა და აფრთხილებს ამხანაგებს, ოდეს დამწვარ ადგილებიდან ქვა თუ მიწა დაიძვრის.

სდგახარ ამ სურათის წინაშე და თქვენზე, ამის პირველათ მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. გიკვირთ, როგორ ხდება, რომ ულმობელმა სტიქიონმა, რომელიც ქვასა და ლითონს ხშირათ ერთ წამს არღვევს—ადნობს, ამდენი ხნის განმავლობაში არა თუ ერთი მთა, მთელი ტყიბული, მთელი ქვეყანა ფერფლათ არ აქცია! ფიქრობთ და თითქო არა გჯერათ, რომ ეგოდენ სუსტია ადამიანის გონება, მისი ძალა ამ სტიქიონთან ბრძოლაში, რომ ეგოდენ უძლურია ამ შემთხვევაში თანამედროვე ტეხნიკა, ის ტეხნიკა, რომელმაც ჰაერიც კი უკვე დაიმორჩილა!

დიახ, სდგას ამ სტიქიონის წინაშე ადამიანი ყოვლად უძლური, ბეჩავი, ვითარცა ერთი უმწეო, ჩრდილი ჰია და არ იცის, რა ქნას, რა ილონოს! სდგას და უცქერის უიმედოთ, თუ როგორ ართმევს ცეცხლი მას ხელიდან აუარებელ სიმდიდრეს.

მაღაროების გამგე, ინჟინერს დავეკითხე:—ნუთუ ამ ცეცხლს არაფერი ეშველება-მეთქი. „თეორეტიულათ კი, მაგრამ პრაკტიკულათ არაფერი ეშველებაო“, მიპასუხა მან გადაჭრილი კილოთი.

გარნა ცეცხლის გავრცელების რაიონი განსაზღვრულია: ქვედა ფენები ქვანახშირისა არ იწვის და ვერც დაიწვის იმ უბრალო ფიზიკურ კანონისა გამო, რომ ცეცხლი მხოლოდ იქ ჩნდება, სადაც გარეშე ჰაერი გასჭვირს.

— ცეცხლი, ამიხსნეს იქვე მაღაროებში, ქვანახშირს თავისთავათ გაუჩნდა, გაუფთხილებლობის წყალობით.

ქვანახშირის ფხვნილი თუ ხანგრძლივ დასტოვეთ, მას უეჭველათ ცეცხლი გაუჩნდება. ამ ცხრამეტი წლის წინათ დიდი ხნით დაუტოვებია ვიღაცას მაღაროებიდან ამოღებული ფხვნილი ნახშირი, რომელსაც ცეცხლი მოკიდებია, და აი მას აქეთ განიცდის ტყიბულის წარმოება ამ გაუფთხილებლობის, ანუ უკეთ ვსთქვათ უდიდესი დანაშაულის შედეგებს.

**გრ. გველესიანი.**

(ხვალამდი).

---

## ✤ აქიმი პახომ ხუნდაძე.

8 აგვისტოს სოფ. კალაგონში (გურია) მიწას მივაბარეთ ახალგაზდა აქიმის პახომ ხუნდაძის გვამი. პ. ხუნდაძე დაიბადა სოფ. კალაგონში 1883 წ. მაისში. ის იყო ღარიბი სოფლის მედავითნის შვილი. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. აქიდან 1897 წ. შევიდა ქუთაისშივე სასულიერო სემინარიაში, მაგრამ სემინარიის დახურვის მიზეზით, გადავიდა სტავროპოლის სემინარიაში; დაასრულა სტავროპოლის სემინარია 1906 წ. იმავე წელს შევიდა იურიევის უნივერსიტეტში მედიკურ ფაკულტეტზე და დაასრულა ეს ფაკულტეტი 1912 წ. აპრილში. იმავე წლის 29 ივნისს ის დაინიშნა გროდნოს გუბერნიის დაბა დვინში საავათმყოფოს აქიმათ, საიდანაც რამდენიმე თვეს შემდეგ გადავიდა იმავე გუბერნიის დაბა ოლპას საავათმყოფოში, სადაც სიკვდილის დღემდი ითვლებოდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ძლიერ ცდილობდა გაღატაკებულ ხალხს დახმარებოდა, ყოველთვის ხალისით, ცხადია, უფასოთ უჩენდა დახმარებას, რის გამოც ძლიერ საპატიო სახელი მოიხვეჭა ჩვენს საზოგადოებაში... პახომს ძლიერ აფიქრებდა ქართველი ხალხის უმწეო მდგომარეობა და ამიტომ სულითა და გულით თანაუგრძნობდა იმ მიმართულებას, რომელიც ეროვნულ პრობლემას სწყვეტს და ხსნის პოლიტიკური ფედერალიზმის საშვალებით... დაუნდობელმა სიკვდილმა არ დააცალა ყველასთვის საყვარელ ადამიანს მოესწრებოდა რამდენიმეთ მაინც თავის აზრის განხორციელებას ცხოვრებაში. უწყალო სენმა (ჭლექით იყო ავათ) ძლიერ დაასუსტა ჯერ კიდევ ამ ერთი წლის წინათ, მის ბაგეებზე ჯერ კიდევ სიცოცხლეში დასჭკნა ჭაბუკური ღიმილი...

მისი დაკრძალვის დღეს დიდძალი ხალხი შეიკრიბა მისი ცხედრის წინაშე ყვავილ-გვირგვინებით. ითქვა სიტყვები.

განისვენე ტკბილათ, ძვირფასო ადამიანო!

**სიმონ.**

# რუსეთი.

**იუბილე.** წელს შესრულდა „რუსკია ვედომოსტის“ არსებიდან 50 წელიწადი, 50 წლის იუბილეს გადახდა განზრახულია ექვსი ოკტომბრისათვის.

**მუშათა გაზეთები.** პეტერბურგში მუშათა გაზეთები ისევ გამოვიდა. ამ გაზეთების თითქმის ყოველ ნუმერს აჯარიმებენ. დააჯარიმეს „სევერნაია პრავდას“ და „ნოვაია რაბოჩაია გაზეტას“ უკანასკნელი ნუმრები.

**კოოპერატიული კრება.** კოოპერატიული კრების სურათების ჩვენება კინემატოგრაფებს აუკრძალეს.

# უცხოეთი.

**ოსმალეთი და დიდი სახელმწიფოები.** დიდი სახელმწიფოები შეთანხმდენ, რომ ოსმალეთს ფინანსიური ბოიკოტი გამოუცხადონ. ახლა ევროპის სახელმწიფოები პორტასათვის წარსადგენ ნოტის დედანს იმუშავებენ. თვითოეული სახელმწიფო ცალკე მოსთხოვს ოსმალეთს დამორჩილდეს ევროპის ნებას, თუ ოსმალეთმა არ აასრულა ეს მოთხოვნილება, მაშინ კრედიტს დაუხურვენ.

**არეულობა სტამბოლში.** ხმა გავრცელდა—ინგლისის სასტაციონური გემი სტამბოლის მახლობელი წყლებიდან გავიდაო. ამ ხმამ მცხოვრებთა შორის დიდი არეულობა გამოიწვია: ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა კრება გამართა. კრებაზე გადაწყდა: ოსმალეთის ჯარს ებძანოს—ბულგარეთის ტერიტორიაში შესვლა და ფილიპოპოლის აღება, უკეთუ ოსმალეთს დიდმა სახელმწიფოებმა მოსთხოვონ ფრაკიიდან გასვლა.

**ხოლერა რუმინიაში.** რუმინიაში ხოლერა გავრცელდა, პროვინციებში ხოლერით ყოველ დღე ათი კაცი კვდება. ამ სენმა ათასი ჯარისკაცი იმსხვერპლა.

**ჩინეთის ამბები.** ქალაქი კანტონი ჩრდილოეთელთა ხელშია. პატარ-პატარა შეტაკებები კიდევ ხდება. ორივე მხრით მოკლულთა რიცხვი 1,170. ქალაქში დიდი ანარქიაა. მთავრობას არ ემორჩილებიან. ჩრდილოელთა ჯარი ვაჭრებს სცარცვავს. ჩრდილოეთლებმა ნაჩანგიც აიღეს. ნანკინს დიდძალი ჯარი მიადგა. გენერალ ჩანმა წინადადება მიიღო—ნანკინლებთან მოლაპარაკება გამართოს. სწერენ—დიდი ფულის მიცემას შეპირდი ნანკულებს, თუ ქალაქს თავის ნებით დაგითმობენო. კუზუნის ფორტები დანებდა. მით ჩრდილოეთლებმა 200 ათასი დოლარის მიცემა აღუთქვეს,

# მშრომელი ხალხი.

**ბაქოს გაფიცვა.** სამი მექანიკური სახელოსნოს მუშები ისევ გაიფიცენ. 16 სამრეწველოს მუშებმა მუშაობა განაახლეს. მათი მოთხოვნილება სრულიად დააკმაყოფილეს. დეპუტატმა სკობელევმა „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტს უთხრა: „გაფიცვა მოულოდნელათ, უეცრათ გამოცხადდა. ჯერ კიდევ ივნისში მწერდენ, რომ მუშათა მდგომარეობა უნუგეშოაო. არ მოველოდით, თუ ეს გაჭირვება იქამდი მივიდოდა, რომ გაფიცვას გამოაცხადებდენ. სატახტო გაზეთების ცნობა, ვითომც გაფიცვა პროფესიონალურ საზოგადოებათა კავშირს მოეწყოს, ტყუილია“. გაფიცვა მშვიდობიანათ მიმდინარეობს, მუშები თავდაჭერილათ იქცევიან და პოლიციელებს საქმეში ჩარევის მიზეზს არ აძლევენო.

**გაფიცვის მოხსნა.** პეტერბურგში ფრანგ-რუსთა ქარხანაში გაფიცვა დასრულდა. მუშები 52 დღე იყვენ გაფიცული. გაფიცულთა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს. 7 აგვისტოს რეინერის ქარხანაშიც დასრულდა გაფიცვა. გაფიცულებს ჯამაგირი ათი პროცენტით გაუდიდეს; დაუკმაყოფილეს სხვა ეკონომიური მოთხოვნილებაც, 46 სამრეწველოში გაფიცვა გძელდება. ამ სამრეწველოებში გაფიცულთა რიცხვი 4 ათას კაცს აღემატება. სამანუფაკტურო ქარხანამ 300 მუშა გამოიწერა; მუშებიც ჩავიდენ, მაგრამ ვერ შეთანხმდენ და ისევ უკან გაბრუნდენო.

**დაპატიმრება.** მინსკში 13 მეჩექმე გაფიცვის მოწყობისთვის ერთი თვით დააპატიმრეს.

**ჩხრეკა.** პეტერბურგში 7 აგვისტოს 24 მუშის ბინა გაჩხრიკეს, დააპატიმრეს 11 მუშა. პოლიციელები ეძებენ გაფიცვის მომწყობ კომიტეტს.

**გაფიცვა.** რიგაში ხე-ტყის ქარხნის 130 მუშა გაიფიცა. გაფიცვის გამო 115 გემი პორტასთან უსაქმოთაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


მიღებულია:
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

საპაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

| ბორჯომის წყალი | | თავის ქურქლით. | |
|---|---|---|---|
| | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (ია?.) |
| 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 კ. |
| 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 კ. |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 კ. |

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ი[...] ტაკზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მჭირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თ[...] ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.


## აგარაკი ჯუმათი.

(მგზავრის შთაბეჭდილებანი).

ჩვენ რომ ისე განვითარდებოდეთ, შევიგნებდეთ ჩვენი ტურფა სამშობლოს ფასს, ღირსებასა და მას სათანადოთ მოუარდეთ, შევიყვარებდეთ, ვუპატრონებდეთ, სხვა სიკეთე არ გვინდა... მაგრამ ჩვენდა სასირცხოთ და სავალალოთ, ამის ნიშნები ნაკლებათაა ჩასახული ჩვენს საზოგადოებაში. ,,მამალისა და მარგალიტის" არაკი ჩვენზე ზედ გამოჭრილია. ერთი ასეთი ჩვენი უგულობის მაგალითი მსურს ავსწერო, ქვემო მოვუთხრო მკითხველს, რაც ჯუმათში ვნახე და გავიგე; ჯერ კი გზადაგზა ნახულ შთაბეჭდილებას ჩამოვთვლი.

ამ ხანათ გურიაში დიდ „მოდაშია" საავარაკოთ წასვლა ზაფხულში. თავმომწონე გურული, რაც უნდა იქნას და რათაც დაუჯდეს, თავის ცოლ-შვილით სადმე მომაღლო ადგილზე მიებარგება საზაფხულოთ. ვაი ქმრის ბრალი, თუ მეზობელმა თავისი ცოლი „დაჩაზე" წაიყვანა და მან ეს ვერ მოახერხა—ცოლი ერთ ამბავს დააწევს:—მე რაღა იმაზე ნაკლები ვარო... და მართლაც ასეთი მიმბაძველობა ერთის მხრით სასარგებლოც არის, თუ გავიხსენებთ, რომ გურიის ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილები ერთობ დაბლობია. მალარიით შეპყრობილთათვის მიუცილებელია—ზაფხული სადმე მაღლობზე გაატაროს, მაგრამ გურულისათვის სულ ერთია—თუგინდ ძალიან საღ ადგილზე ცხოვრობდეს, მაინც საავარაკოთ მიემგზავრება ბახმაროზე, ან გომის მთაზე. წელს ჯუმათსაც ეწვიენ მოაგარაკენი ორას სულამდი და მონასტრის გარშემო დაბინავდენ. ჯუმათი 1644 ფუტის (234 საჟ.) სიმაღლეზე ძევს ზღვის ზევით და ჰაერი აქ ძალიან საღია. დიდი ხანია არ მენახა ჯუმათი, და, რადგან იქ ჩემიანებიც მეგულებოდა, 21 ივლისს გავემგზავრეთ ბაღლეფის გზით მე და ორიც სხვა. სოფ. ბაღლეფში უკვე იწყება ჯუმათის აღმართი; შევუდექით აღმართს, მივაწიეთ „კიბულაზე" და ,,ღარის-წყაროზე" შევისვენეთ წყლის დასალევათ. წყარო კლდიდან გამოჩუხჩუხებს, ანკარა ცივი. დავიქოქინეთ და გზას გავუდექით. იწევთ ზევითა და გრძნობთ, რომ სულ სხვა ქვეყანაში შესდგით ფეხი. უახლოვდებით მონასტერს, თხელდება ჰაერი და თქვენს წინ თანდათან იშლება საუცხოვო სურათი. გრძნობთ, რომ დიადი ბუნების ძალა თქვენს არსებაში გადმოვიდა, თვით მაღლდებით-სულით, გულით, „გწამს, რომ არის ენა რამ საიდუმლო სულიერსა და უსულოთა შორის", ამაყობთ და მოგწონთ თავი, რომ ასეთი კეკლუცი დედის შვილი ხართ, მაგრამ იმავე დროს თუ კაცად-კაცი ხარ, არ შეიძლება არ წამოწითლდეთ, რომ დედას ღირსეული შვილი არა ყავს... ამ შთაბეჭდილებით გზა თანდათან მოკლდება და ადიხართ შაქრის თავსავით ჰაერში აზურთულ კლდეზე, სადაც მერცხლის ბუდის მზგავსათ მწვერვალზე სდგას ჩვენი წარსული დიდებისა და აწმყოში დაცემის მოწმე ჯუმათის ტაძარი. აი, ამ ტაძრის გალავნიდან წინ იშლება მთელი საკვირველება ბუნებისა, სიტურფე და სიკეკლუცე ჩვენი სამშობლოსი. აქ თქვენი სული და გული ბუნებას ეთანაზიარება და სტკბებით ესთეტიურათ. „არსად მთელ კავკასიაში ასეთი ვრცელი ჰორიზონტი არ მინახავს."—ამბობს დ. ბაქრაძე. (იხ. მისი Археологич. путешествіе по Гурій и „Аджара". გვ. 258) და მართლაც საუცხოვო გადასახედია აქიდან. თავისუფლათ ხედავთ ბათომს, ფოთს, თავის ნავსადგურით, შავ-ზღვას, პალიასტომის ტბას, რიონს, ხობს, ცხენის წყალს, ენგურს, სუფსასა და სხვა. ხედავთ ქუთაისს, ლიხისა და მთელი კავკასიის მთებს, ტრაპიზონსა და ლაზისტანის ქედებს და ერთობ მთელ ამიერ კავკასიას. (ვისაც გადაჭარბებულათ ეჩვენოს, ვსთხოვ იხილოს ზევით მოხსენებულა წიგნის 258 გვ.)

დიდხანს ვიდექით მე და ჩემი თანამგზავრი ხმა ამოუღებლათ და ,,თვალნი რბოდენ შორად, შორად ცის დასავალსა'', რომ უცებ ძელს ჩამოკრეს, რამაც ოცნებიდან გამოგვიყვანა. კვირა დღე იყო. დავათვალიერეთ გალავანი, მაგრამ რას ნახავ! სრულიად მოგვეშხამა განცდილი შთაბეჭდილებანი: იმ სამონასტრო სახლში, რომელიც გალავანში სდგას და რომელშიც უცხოვრიათ ჯუმათელ მიტროპოლიტებს წინათ, დღეს ვინმე ბოჭორიშვილი „ბერი" ცოლშვილით დამდგარა. გალავანში ქათმები, თხები და სხვა ცხოველები... იქაურობა ყარს; ის სადარაჯო ოთახი, რომელიც ტაძრის შენობის ნაწილს შეადგენს, სათხეთ გადაუქცევიათ და სავსეა უწმინდურებით; დიდებული სამრეკლო, რომელიც, ჩემის აზრით, მონასტრის შენობის ნახევარ ღირებულებას შეადგენს, გაუქმებულია, უსახურავობის მიზეზით, რასაც ას მანეთზე მეტი არ დასჭირდებოდა—ინგრევა და თხების სანავარდოთ გამხდარა. და ამის ნაცვლათ—რუსული ეკლესიის მზგავსათ, არქიმანდრიტ გერასიმეს, ზედ ტაძრის დასავლეთის მხარეზე მიუშენებია ახალი სამრეკლო, გარნა სიკვდილს აღარ დაუცლია, დაუსრულებელი დარჩენია და მის ცდას, რომ ტაძარი რუსულ სტილზე გარდაექმნა, ამაოდ ჩაუვლია, თუმცა ამაზე გაწეული ხარჯის მეათედი ძველ სამრეკლოს დახურავდა და საუკუნოთ შეაკეთებდა. ასეთია გარეგნობით მონასტერი. ვნახოთ შიგნით.

თითქმის სრულიად გაცარცულია ტაძარი. იმ შვიდ ძვირფას ხატთაგანს, რომელსაც ფასი არ დაედებოდა და რომელსაც ასწერს ჩვენი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე (იხ. იგივე წიგნი, 260, 261, 262, 264, 265 და 266), ორი უმთავრესი ვინმე საბინგუსს წაუღია რუსეთში „შესაკეთებლათ" 1885 წელს არქ. გერასიმეს „მოღვაწეობის" დროს, მაგრამ რადგან ხსენებული ხატები ლუვა ოქროსი იყო, მინაქრებითა და თვალ-მარგალიტებით მოკაზმული, თავისთვის დაუტოვებია, როგორც „უვარგისი" და მაგიერათ იმავე ზომის ორი თითბრის „ძვირფასი" ხატი გამოუგზავნია. საბინგუსი „ბატონის კაცი" იყო, ყმაი, რომ ბატონს არ გავდეს, ნათხოვარი ეგონებიანო",—ნათქვამია. დანარჩენ ხუთში, რომელიც უკეთესი იყო, 1905 წელში ავაზაკებმა გაიტაცეს, დასჭრეს და გაიყვეს თავის-შორის, მაგრამ ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა, ავაზაკები დაიჭირა, დაჭრილი ხატი ჩამოართვა და უნდა ღირსეულათ გაესამართლებიათ, მაგრამ კარგის „ვექილების" წყალობით სასჯელს ასცდენ ავაზაკები...

წირვა დაიწყო. აქაც ღვთის მსახურთაშორის თავის ადგილზე არ დგომა აშკარაა, ყველაფერი ურიგოთ სრულდება: მწირველი ბერი ფეხზე ძლივს დგება, ბარბაცობს, თითქოს მთვრალიაო, გაუგებრათ რაღაცას ბუტბუტებს, მორჩილების ნაცვლათ, თეთრ ხალათიანი და ფართე მწვანე შარვლიანი ძმა-ბიჭები კითხულობენ საღვთოწერილებს, რომელთაც მხარზე გადაგდებული თეთრი ყაბალახი მიწაზე სცემს. გულდაწყვეტილი გარეთ გამოვედი და ნაღვლიანათ ჩავილაპარაკე: „უპატრონო ეკლესიას, ეშმაკები დაესიაო"-მეთქი, და ბინაზე წამოვედი. მეზობლათ, სუფრას შემოსხდომია ახალგაზდა ლვდელი, მასწავლებელი და გიმნაზიელი. ამ უკანასკნელს სამი-ოთხი მოწაფე წამოუყვანია „მოსამზადებლათ", გაუშლიათ ბანქო და დილიდან საღამომდი გაისმის: „ჩერე! ტიომნი!"—ღვდელო პეტრე „კონი" გაკლია!—იძახის მასწავლებელი.

— ასე იციან ჯიჯიეიშვილებმა,—ბანს აძლევს გიმნაზიელი. და ასე „ემზადებიან" მოწაფეები... დუქნიდან მოისმის ერთი აურ-ზაური და მთვრალი „ბერი" გარეთ გამოყავთ.

ასეა, ჩემო მკითხველო! რაც ბუნებაზე ყოფილა დამოკიდებული—ყველაფერი რიგზეა და მშვენიერათ მორთული და რაც ჩვენ, თანამედროვე ადამიანზე არის დამოკიდებული, იქ ყოველივე წაბილწულია და განადგურებული. რაც ჩვენს წარსულ ისტორიულ ცხოვრებას შეუქნია, ქრება, ინგრევა, იცარცვება. დაცვა სჭირია ჩვენს ქონებას, ჩვენი კულტურის ნაშთებს. ასეთი განძეული ერისთვის ერთნაირი დიპლომია სიმწიფისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ განძეულს მოვლა უნდა. შეუძლებელია ბოჭორიშვილების ხელში დატოვება ისეთი ეროვნული საუნჯისა, როგორიც ჩვენს ტაძარ-მონასტრებში მოიპოვება...

მოსე გიგინეიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.


საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.

„პ ა ტ ო კ ს ა ნ".

„პატოკსან" შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.

„პატოკსან" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).

„პატოკსან" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,

„პატოკსან" ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

„პატოკსან" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის „გეორგი რუსინოვ და ამხ." თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".



რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის.

თფილისს: სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
ბათომს: სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
ფოთს: საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.
შორაპანს: საავარ. 4 ს. 57 წ. დღ.
ტყიბულს: სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3[...] 45 წ. დღ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან: სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 [...] საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.[...] სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
ბათომიდგან: ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 1[...] 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სა[...] 7 საათ. დილ-
ფოთიდან: საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1[...] 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.
შორაპნიდან: საავ. 9 ს. 31 წ. დილ.
ტყიბულიდან: სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 1[...] საათ. 9 წ. დილ.



ქ. ქუთაისში (სობოროსთან

ა. თაბაგარის მაღაზიაში

20 ივლისიდან დანიშნულია

დიდი იაფი ვაჭრობა

ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინები გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

●●◘ ფასები ძლიერ დაკლებულია ◘●●

სამკურნალო აბანო

მჭირფასი მთის აერზე

ძმ. ყორყოლაძეების

ჩინებული ქვემი თავლით იხილეთ და დარწმუნდებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

გ. მორდაძის და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ[...] უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინ[...] ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის უთხზენიშანს „БЕМСКОЕ"

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.